გ ა ც ნ ო ბ ე ბ თ, რომ საჯარო განხილვისთვის გამოქვეყნდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტი, პირველი წარდგენა.

ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცესი მიმდინარე წლის 16 ნოემბრიდან იწყება და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე (31 დეკემბრამდე) სრულდება. კერძოდ:

- მუნიციპალიტეტის მერი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს საკრებულოს.
- საკრებულო აქვეყნებს ბიუჯეტის პროექტს საჯარო განხილვისთვის (არაუგვიანეს 20 ნოემბრისა).
- კომისიებსა და ფრაქციებში განხილვის შემდეგ, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, საკრებულო ბიუჯეტის პროექტს უბრუნებს მერს.
- მერი ბიუჯეტის პროექტის იმავე ან შესწორებულ ვარიანტს ხელახლა წარუდგენს საკრებულოს.
- საკრებულო საჯაროდ განიხილავს პროექტს და სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს ბიუჯეტს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 2027 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტის განხილვა გაიმართება **2026 წლის 18 ნოემბერს 11:00 საათზე,** სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა, ინფრასტრუქტურის საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე.

მისამართი: ქ. სამტრედია, რესპუბლიკის ქ. N6

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზი.